სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №45

ქ. ახალციხე 27 თებერვალი
2012 წელი

ერთის მხრივ **ახალციხის მუნიციპალიტეტის** თვითმმართველი ერთეული, (ქ.ახალციხე, მ. ახალციხელის N 2), წარმოდგენილი **საკრებულოს** თავმჯდომრის მალხაზ გიქოშვილის სახით შემდგომში წოდებული როგორც "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **შპს "ა არქიტექტურა"**(ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, თაქთაქიშვილის ქ. №3/1, საიდენტიფიკაციო №205167077), დირექტორის ბადრი მოლამხიას სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების **№315** ,,ქ. ახალციხეში, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციის კონცეფციის ფარგლებში ამფითეატრისა და სცენის მოპირკეთების, ბილიკის, ბილიკზე ასასვლელი კიბეების, ბაღის სკამებისა და გარე განათების მოწყობის დამამთავრებელი ეტაპის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე", (კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა) კონკურსის ჩატარების საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

ქ. ახალციხეში, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციის კონცეფციის ფარგლებში ამფითეატრისა და სცენის მოპირკეთების, ბილიკის, ბილიკზე ასასვლელი კიბეების, ბაღის სკამებისა და გარე განათების მოწყობის დამამთავრებელი ეტაპის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საკონკურსო წესით შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 5000 (ხუთი ათასი) ლარი.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია
ა) მიმწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1(ერთი) კვირის ვადაში წარმოადგენს სრულ პროექტს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. არქიტექტურული ნაწილი მუშა დოკუმენტაცია,
3. კონსტრუქციული პროექტი,
4. სამუშაობის მოცულობათა უწყისი;
5. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
6. საავტორო ზედამხედველობა

ბ) პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. ელექტრონული ვერსია სრული მემადგენლობით:

-პროექტის შემადგენელი ყველა ფურცელი. - 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსია PDF ფაილის სახით.

-პროექტის სამუშაო ვერსია - დაარქივებული Aarchicad_ის ან autocad_ის ფაილების სახით.

- სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსიის სახით;

გ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება შემდეგ მისამართზე ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2.

დ)საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.

ე) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები შემსყიდველის დაკვეთით.

ასევე განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველუყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულობები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განახორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვის ინსპექტირების ჯგუფი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადამი გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორების შეუძლებელებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და

ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:
- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა.
7.3 მომსახურების მიღებას აწარმოებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვის ინსპექტირების ჯგუფი.
7.4 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება ჩაბარება მოხდება ერთ ეტაპად, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მიწოდებული გაწეული მომსახურების დასტურად და გრაფიკის შესაბამისად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტაა-ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელდების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით. 10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს უფლებამოსილია შეწყვეტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
1.ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 19 მარტამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულების შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ოთხი შემსყიდველს.

18. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:

ახალციხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

მალხაზ გიქოშვილი

ქ.ახალციხე, მ. ახალციხელის ქ. #2

სს „ლიბერთი ბანკი" სამცხე-ჯავახეთის

რეგიონალური ფილიალი:

ბანკის კოდი: 220101466

ა/ა GE GE13LB0120119712033000

ს/კ 224086352

მიმწოდებლის სახელით:

შპს "ა არქიტექტურა"

დირექტორი

ბადრი მოლაშხია

ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, თაქთაქიშვილის ქ. №3/1

სს "თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი.

ბანკის კოდი _ TBCBGE22

ა/ა- № GE18TB0600000360505002

საიდენტიფიკაციო №205167077